თინა ცომაია,
სოციალური მეცნიერებების დოქტორი, პროფესორი
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
Tina Tsomaia,
MD, PhD, Professor at Georgian Institute of Public Affairs, Georgia
t.tsomaia@gipa.ge
მაია მესტვირიშვილი,
სოციალური მეცნიერებების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
Maia Mestvirishvili
Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
Affiliated researcher at Georgian Institute of Public Affairs, Georgia
Maia.mestvirishvili@tsu.ge
მარიამ კვიციანი
ფსიქოლოგიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
Mariam Kvitsiani
PhD Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
Georgian Institute of Public Affairs, Georgia
Mairam.kvitsiani@tsu.ge
ნათია მესტვირიშვილი
ფსიქოლოგიის დოქტორი,
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
Natia Mestvirishvili
PhD; Georgian Institute of Public Affairs, Georgia
Natia.mestvirishvili@gmail.com

ფემიციდი საქართველოში

Femicide in Georgia

აბსტრაქტი

ეს ნაშრომი აანალიზებს ფემიციდის პრობლემას საქართველოში. კვლევა მიმოიხილავს და აღწერს ფემიციდის გავრცელებას, მის ფორმებს, ინდივიდუალურ და სოციო-ეკონომიკურ თუ კულტურულ მახასიათებლებს. კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მედიაკონტენტ ანალიზს და საქართველოში პირველად იყენებს ევროპული ფემიციდის მონიტორინგის (EOF) მეთოდოლოგიის რაოდენობრივ ინსტრუმენტს,

რომელიც გამოავლენს მნიშვნელოვან ფაქტორებს, რაც აქამდე არსებული ეროვნული მონაცემთა სისტემებით დაფიქსირებული არ ყოფილა (მაგალითად, დანაშაულამდე ინსტიტუციური ჩართულობა, მკვლელობა საჯარო სივრცეში, ფემიციდის მსხვერპლი ბავშვები, მიგრანტი ქალების მკვლელობა და სხვა).

აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება საშუალებას გვაძლევს უფრო სიღრმისეულად შევისწავლოთ ფემიციდის გამომწვევი მიზეზები. EOF-ის მონაცემთა ბაზის შემთხვევების ანალიზი მიუთითებს საჭიროებაზე, სისტემატურად შეგროვდეს დამატებითი ინფორმაცია ფემიციდის შემთხვევების უკეთ გასაგებად და უფრო ეფექტური პრევენციული სტრატეგიების შესამუშავებლად.

კვლევის მიხედვით, საქართველოში ქალთა მკვლელობის პროპორციები — განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის და ინტიმური (ან ყოფილი) პარტნიორების კონტექსტში — შეესაბამება გლობალურ ტენდენციებს. ეს მონაცემები ხაზს უსვამს დანაშაულების გენდერულ ბუნებას და ასახავს ღრმად ფესვგადგმულ უთანასწორობასა და პატრიარქალურ კონტროლს.
კვლევა, ასევე, ასახავს 2021 -2022 წლებში ფემიციდის მიმართ მედიის მზარდ ყურადღებას, რაც ვლინდება ფემიციდის, როგორც სოციალური ფენომენის გაძლიერებულ გაშუქებაში, ტერმინ "ფემიციდის" ფართო გაგებასა და გამოყენებაში. მედიის ინტერესის პოზიტიური დინამიკა მეტწილად განპირობებულია საერთაშორისო ორგანიზაციების და დონორების მიერ მხარდაჭერილი ცნობიერების ამაღლების პროექტებით.
კვლევა ხაზს უსვამს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის, სანდო მონაცემთა შეგროვების, ძლიერი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავების და კულტურული ცვლილებების აუცილებლობას გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში. ამ გზით ნაშრომი ხელს უწყობს გლობალურ დისკურსს ფემიციდზე და საფუძველს უყრის მომავალ კვლევებსა და ინტერვენციებს, რომელთა მიზანია გენდერული ძალადობის შემცირება.
საკვანძო სიტყვები:
ფემიციდი, მედია, გენდერი, ძალადობა, საქართველო, მონაცემები.

Abstract

This paper examines the issue of femicide in Georgia, offering a comprehensive analysis of its prevalence, forms, and the individual, socio-economic, and cultural factors associated with it.

The study primarily employs media content analysis, focusing on how femicide was reported in the media during 2021–2022.

For the first time, the research applied the quantitative methodology of the European Femicide Monitoring Methodology, revealing that the proportions of women killed in Georgia—particularly in the context of domestic violence and by intimate partners—mirror global trends. These patterns underscore the gendered nature of these crimes.

The study also identifies several contributing factors, such as prior institutional involvement before the crime, which have not been captured by existing national data systems. This insight enriches our understanding of femicide's underlying causes. Analysis of cases in the EOF database highlights the need for systematic collection of additional information to deepen knowledge of femicide cases and to inform the development of more effective prevention strategies.

The research underscores the urgent need for evidence-based policymaking, robust data collection, stronger legal protections, and cultural transformation toward gender equality in Georgia. It contributes to the global discourse on femicide and lays the groundwork for future research and interventions aimed at eradicating gender-based violence.

Additionally, the study notes a growing media focus on femicide, as reflected in the increased coverage of femicide as a social issue and the broader use of the term itself. This positive shift is attributed in part to awareness-raising initiatives supported by international organizations and donors.

შესავალი

ფემიციდი – გენდერული მოტივით ქალების განზრახ მკვლელობა – გენდერული ძალადობის, დისკრიმინაციისა და გენდერული უთანასწორობის ყველაზე ექსტრემალური გამოვლინებაა. გენდერული სტერეოტიპები, ინტიმური პარტნიორის ფემიციდის გენდერული დინამიკის არცოდნა ხელს უშლის პრევენციულ ღონისძიებებს.

მიუხედავად პრობლემის მასშტაბისა, ფემიციდის შესახებ მონაცემები სისტემატურად არ გროვდება. არ არსებობს ფემიციდის საერთო განმარტება(EIGE (2021b)), სახეზეა ფემიციდის შესწავლის ტრანსნაციონალური ინსტრუმენტების ნაკლებობა(EIGE (2021a)).

ფართო განმარტებით, ფემიციდი გულისხმობს ქალთა ან გოგოების გენდერის ნიშნით მკვლელობას. ეს განმარტება ძირითადად გამოიყენება ფემინისტი და

უფლებადამცველი აქტივისტების მიერ, რათა ხაზი გაუსვან მოძალადის მიზოგენურ განზრახვას მოვლენათა ფართო სპექტრში, როგორიცაა: ქალთა მკვლელობა ორგანიზებული დანაშაულისა და ომის კონტექსტში; მზითვის გამო და „ღირსების სახელით“ ჩადენილი მკვლელობები; ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების შედეგად გამოწვეული სიკვდილი; ჯადოქრობაში დადანაშაულება; ასევე ჩვილების მკვლელობა და სქესის პრენატალური სელექცია (Academic Council on the United Nations System [ACUNS], 2013).

ამ ცნების პოლიტიკური მიზანი ძლიერია და ყურადღებას ამახვილებს პატრიარქალურ ნორმებზე, სტერეოტიპებსა და დომინირებულ მოსაზრებებზე, რაც საბოლოოდ ქალებისა და გოგოების ძალადობრივ სიკვდილს იწვევს.

ქალთა მკვლელობებს საფუძვლად შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ედოს, რომლებიც თავის მხრივ ხშირად განპირობებულია საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული გენდერული როლებით, ქალების დისკრიმინაციით, საზოგადოებაში მამაკაცებსა და ქალებს შორის ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილებით (United Nations Office on Drugs and Crime [UNODC], 2021).

ტერმინი ფემიციდი პირველად გამოიყენა დიანა ჰ. რასელმა 1976 წელს ქალთა წინააღმდეგ დანაშაულის პირველ საერთაშორისო ტრიბუნალზე. მოგვიანებით, *feminicidio*-ს კონცეფცია შეიმუშავა მექსიკელმა ანთროპოლოგმა და ფემინისტმა მარსელა ლაგარდმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ფემიციდს/ფემინიციდს იყენებს თავის დოკუმენტებში 2010-იანი წლების დასაწყისიდან ქალების გენდერული მკვლელობების აღსაწერად.

აქტივისტები მთელს მსოფლიოში ფემიციდის პოლიტიკურ მნიშვნელობას იყენებენ როგორც ბერკეტს მობილიზაციისა და ცნობიერების ამაღლებისთვის (European Institute for Gender Equality [EIGE], 2017).

ფემიციდის სხვადასხვა მიზეზების განხილვისას მკვლევრები მრავალდონიან ეკოლოგიურ მიდგომას ეყრდნობიან, რაც ადგილობრივ კონტექსტს, გარემოში სოციალურად მიღებულ ქცევებსა და ნორმებს ითვალისწინებს (Branković, 2019; Bandelli & Corradi, 2021).

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა აწარმოებს გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის ოფიციალურ რეესტრს, რომლითაც დაღუპულთა რაოდენობა დგინდება, არსებობს კულტურული და ბიუროკრატიული

დაბრკოლებები ოფიციალურ სტატისტიკაში ქალების გარდაცვალების „ფემიციდად“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ასეთ დაბრკოლებებს მიეკუთვნება: პრობლემის უარყოფა და მის მიმართ ინტერესის არარსებობა; პრობლემის სიმძიმის არასათანადო შეფასება, რაც არასწორ აღრიცხვაში გამოიხატება; რესურსებისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის ნაკლებობა იმისათვის, რომ გენდერის ნიშანი ხილვადი გახდეს შეტყობინებების ძნელად შეცვლად პრაქტიკაში.

უფრო სრული მონაცემების შესაგროვებლად, საჭიროა ქალთა გარდაცვალების ისეთი შემთხვევების მაჩვენებლების შეგროვება, როგორიცაა ჯანმრთელობის მიზეზებით გამოწვეული გარდაცვალება, უბედური შემთხვევა, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, ადამიანებით ვაჭრობა, იძულებითი პროსტიტუცია, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ომისა და კონფლიქტის ადგილებში ქალთა მკვლელობები (Corradi, 2021).

ქალთა მიმართ ძალადობა ყველაზე ნაკლებად აღრიცხულ დანაშაულს წარმოადგენს, რადგან ქალების მხოლოდ 40%-ზე ნაკლები აცხადებს ამ დანაშაულის შესახებ ან ითხოვს რაიმე სახის დახმარებას (UN Women, 2021).

გლობალური ეკონომიკური ფორუმის 2024 წლის გლობალური გენდერული ანგარიშის მონაცემების თანახმად, მსოფლიოს 146 ქვეყანას შორის საქართველოს 69-ე ადგილი უჭირავს გენდერული თანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 7 პოზიციით გაუმჯობესდა (World Economic Forum, 2024).

2013 წლის მკვლელობების შესახებ გლობალური კვლევის მიხედვით, განზრახ მკვლელობის მაჩვენებელი გლობალურად, 100 000 მოსახლეზე, 6.2 იყო. იგივე კვლევის თანახმად, საქართველოში ეს მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 2.3 შეადგენდა. ამ მონაცემებით, საქართველო მკვლელობის დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნების ჯგუფში მოიაზრება(UNODC,2014).

ამჟამად, საქართველოს ფემიციდის მონაცემები გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს ვებგვერდზე არ იძებნება 2023 წლის უახლეს ჰომიციდის კვლევაში საქართველოზე მონაცემები არ გვხვდება(UNODC 2023). ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები საქართველოს შესახებ არასრულია და ანალიზს შეუძლებელს ხდის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემების მიხედვით, 2019–2022 წლებში ჰომიციდის (მკვლელობა და განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) შემთხვევების რაოდენობა 75-80-ის ფარგლებშია.

რაც შეეხება ფემიციდის სქესის მიხედვით ჩაშლილ მონაცემებს, ასეთი მონაცემები მკვლელობების შესახებ გვერდზე არ იძებნება. მონაცემების მოპოვება შეუძლებელია მონაცემების გამოთხოვის შემთხვევებშიც. რამდენიმეგზის ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, გენდერსპეციფიკური ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხდა ვერცერთი უწყებიდან (შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, საქსტატი).

მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა კვლევებით დადგენილი კონკრეტული მახასიათებლებიდან ცნობილია, რომ კაცები არაპროპორციულად ბევრ ქალს კლავენ; ქალებს უმეტესად ინტიმური ან ოჯახური ურთიერთობის კონტექსტში კლავენ და ფემიციდის მსხვერპლი ქალები მკვლელობამდე იყვნენ არალეტალური გენდერული ძალადობის მსხვერპლი. ასევე, მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ზოგადი ფონის, განათლების, დასაქმებისა და კრიმინალური წარსულის თვალსაზრისით, ფემიციდის ჩამდენი პირები შედარებით უფრო კონსერვატიულები არიან, ვიდრე კაცის მკვლელი კაცები (Dobash et al., 2004; Muftić & Baumann, 2012).

2022 წელს გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი კვლევის მონაცემებით, გლობალურად ქალთა განზრახ მკვლელობის 89,000 შემთხვევა დაფიქსირდა. ეს არის ყველაზე მაღალი წლიური რიცხვი ბოლო 20 წლის განმავლობაში და ის 2000-ით აღემატება 2017 წლის მონაცემებს. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობების საერთო რიცხვმა გლობალურად 2021 წლის პიკის შემდეგ კლება დაიწყო, ქალთა მკვლელობების რაოდენობა არ შემცირებულა. ქალებისა და გოგონების ამ მკვლელობების უმეტესობა გენდერულად იყო მოტივირებული და ქალთა მკვლელობების ნახევარი ჩადენილი იყო ინტიმური პარტნიორების ან ოჯახის სხვა წევრების მიერ (UNODC & UN Women, 2022).

2022 წელს დაახლოებით 48,800 (შეცდომის დიაპაზონი: 43,200–54,400) ქალი და გოგონა მოკლეს მსოფლიოში ინტიმურმა პარტნიორებმა ან ოჯახის სხვა წევრებმა (მათ შორის მამებმა, დედებმა, ბიძებმა და ძმებმა). ეს ნიშნავს, რომ 2022 წელს დაფიქსირებული 88,900 ქალის ნახევარზე მეტი (55%) საკუთარ ოჯახში მოკლეს.

იმის გამო, რომ ფემიციდი კონტექსტუალურად და გენდერულად სპეციფიკურ დანაშაულს წარმოადგენს, პოლიტიკა, რომელიც შესაძლოა წარმატებული იყოს კაცის მიერ კაცთა მკვლელობის შესამცირებლად, ფემიციდზე გავლენას არ ახდენს. ამრიგად, როდესაც პირველის მაჩვენებელი მცირდება, ფემიციდი უცვლელი რჩება ან იზრდება (Stamatel, 2014).

საინტერესოა, რომ 2022 წლის გაეროს ფემიციდის კვლევის მიხედვით, ევროპაში 2010 წლიდან 2022 წლამდე ქალთა ინტიმური პარტნიორებისა და ოჯახთან დაკავშირებული მკვლელობების წლიური რაოდენობა 21%-ით შემცირდა. თუმცა, მიუხედავად ამ საერთო კლებისა, ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა (UNODC & UN Women, 2022).

პროკურატურის 2022 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ქალთა მკვლელობების მხრივაც შეინიშნებოდა კლება. კერძოდ, 2014 წლიდან 2022 წლამდე 189 ქალი მოკლეს და დინამიკაში მოკლული ქალების რაოდენობა 50 პროცენტით შემცირდა. 2014 წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო დაფიქსირებული. იმავდროულად, ყურადსაღებია, რომ იგივე წლებში (2014–2022) ადგილი ჰქონდა ქალთა მკვლელობების მცდელობათა მატებას.

ფემიციდის საქმის გამოძიებაში გენდერული დისკრიმინაციის მოტივი საქართველოში პირველად 2020 წელს გამოიკვეთა(სახალხო დამცველის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში, 2020)

საქართველოს პროკურატურის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, ფემიციდის მსხვერპლი 56 ქალის მონაცემების ანალიზის შედეგად, სადაც შედიოდა მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანა და თვითმკვლელობამდე მიყვანა, გამოვლინდა ფემიციდის შემდეგი ფაქტორები: მორჩილების მოთხოვნა და ქცევის კონტროლი, მუდმივი დამცირება, ღირსების დაცვა და პირადი ცხოვრების კონტროლი.

ყველაზე გავრცელებული იყო ინტიმური ფემიციდი. ყველაზე მაღალი ასაკი მსხვერპლში 18-დან 30 წლამდე იყო. ყველაზე ხშირად დანაშაული სახლში იყო ჩადენილი და დანაშაულის იარაღი იყო დანა. ყველაზე მეტი მკვლელობა ხდებოდა თბილისსა და ქვემო ქართლში. რეგიონულ ჭრილში ყველაზე მეტი ფემიციდის შემთხვევა მოდიოდა ქვემო ქართლზე. ფემიციდში ბრალდებულთა ასაკი იყო 30-დან 50 წლამდე. ძალადობის წინარე ისტორია 59 ბრალდებულიდან 9 ბრალდებულის

შემთხვევაში გამოვლინდა. 59-დან 55-ს ჰქონდა მოთხოვნილი, ხოლო 48-ს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება. ფემიციდში მსჯავრდებული პირების 62%-ში მოსამართლემ გაიზიარა გენდერის ნიშანი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

ალტერნატიული ანგარიშის მიხედვით, რომელიც www.femicide.ge-ს მონაცემებს ეყრდნობა, გაანალიზდა 2014–2018 წლის ფემიციდის ასამდე შემთხვევა. ამ მონაცემების ანალიზიც ადასტურებს ფემიციდის გლობალურ და ლოკალურ ტრენდებს, და ამავდროულად დამატებით გამოკვეთს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს: მსხვერპლთა განათლების სტატუსი უფრო მაღალი იყო მოძალადეების სტატუსთან შედარებით. ასევე, უმუშევრობის დონის მიხედვით, მოძალადეები სჭარბობდნენ მსხვერპლებს. მსხვერპლთა უმეტესობა მკვლელობის მომენტში ქორწინებაში იმყოფებოდა და იყო შუახნის ასაკში. ხაზგასასმელია ფემიციდის მსხვერპლთა შვილების მონაცემები: 2014–2018 წლებში მომხდარი 87 შემთხვევიდან მსხვერპლის შვილების რაოდენობის დაზუსტება მხოლოდ 46 შემთხვევაში გახდა შესაძლებელი, რაც სრული სურათის მხოლოდ 53% იყო. ქალთა მკვლელობის მსხვერპლთა შვილების რაოდენობა 93 იყო. უფრო გვიან, 2022 წელს, ფემიციდის მსხვერპლი ბავშვების შესახებ ინფორმაცია პროკურატურაზე დაყრდნობით რადიო თავისუფლებამაც გაავრცელა.

ბავშვების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მნიშვნელობა ხაზგასმულია ევროპის მონიტორინგის მონაცემთა გაიდლაინსა და გაეროს გენდერული მკვლელობის სტატისტიკურ ჩარჩო საზომში (UN Women, 2023).

მონაცემების შეგროვება, გაანალიზება, ხელმისაწვდომობა და გაზიარება გადამწყვეტ როლს ასრულებს ფემიციდის საქმეების გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის ეფექტურობის გაზრდასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის გატარებისათვის (UNODC, 2021). ქალთა მკვლელობების მაღალი წილის აღმოჩენას გაეროში 2013 წელს A/RES/68/191 რეზოლუციის მიღება და ფემიციდის პრიორიტეტულ საკითხად შეტანა მოყვა. 2015 წელს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა სახელმწიფოებს ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის შექმნისკენ მოუწოდა, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეებისა და დაზარალებულების ჩართულობით (UN Women, 2015).

2013 წელს საქართველოს მთავრობამ ფემიციდი ქალთა უფლებების დარღვევად აღიარა. ტერმინი „ფემიციდი“ საჯარო დისკურსში შევიდა 2014 წელს მარიამ წივწივაძის სენსაციური მკვლელობის საქმის ფართო მედიის გაშუქების შემდეგ (სახალხო დამცველი, 2014). გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციის შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წელს გამოთქვა მზაობა, შეექმნა ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმი. საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით, 2017 წელს ფემიციდზე ზედამხედველობის მექანიზმის ფარგლებში საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა.

2016-2019 წლებში EU NEAR Instrument-მა დააფინანსა პროექტი „ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი“, რომლის ფარგლებში საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) თაოსნობით შეიქმნა ვებსაიტი www.femicide.ge, სადაც ქალთა მკვლელობების შესახებ მონაცემები და ისტორიები განთავსდა. ამავე დროს, ჩამოყალიბდა მკვლევართა საბჭო, რომელმაც 2018 წელს მალტის უნივერსიტეტის გენდერის განყოფილების ბაზაზე შექმნილ ფემიციდის ევროპულ მონიტორთან (EOF) დაიწყო თანამშრომლობა (UNODC, 2021).

ფემიციდის ევროპული მონიტორის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ფემიციდის შესახებ მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში ევროპული კოოპერაციის ფარგლებში შეგროვებულმა ინფორმაციამ(Weil & Naudi, 2018). ევროპულმა კვლევამ ცხადჰყო, განსხვავებული სამართლებრივი დეფინიციებისა და სტატისტიკური ჩარჩოების გამოსხვადასხვა ქვეყნის მონაცემთა დადარების სირთულე(Schröttle & Meshkova, 2018) მოგვიანებით, ფემიციდის ევროპული მონიტორის წევრმა ქვეყნებმა დააარსეს ფემიციდის ეროვნული მონიტორები, რომლებიც ხელს უწყობენ მონაცემების შეგროვებასა და სამოქალაქო საზოგადოების მობილიზაციასა და ადვოკატირებას.

2017 წელს გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა (CEDAW) ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სახელმძღვანელოს განახლებისას გასცა რეკომენდაცია, რომ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვება მომხდარიყო ძალადობის ტიპისა და მსხვერპლს/გადარჩენილსა და მოძალადეს შორის არსებული კავშირის მიხედვით (CEDAW, 2017). UNODC-ისა და UN Women-ის მეორე ერთობლივი კვლევის ბრიფინგში ჩაიწერა, რომ მთავრობებმა უნდა განახორციელონ ინვესტიცია და მხარი დაუჭირონ მონაცემთა შეგროვებასა და კვლევას ფემიციდის მონაცემების სისტემატური და შედარებადი მონაცემების მოსაპოვებლად (UN Women, 2021).

მოგვიანებით, 2021 წელს, გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ოფისმა (UNODC) გამოაქვეყნა მოკლე შინაარსი ქალებისა და გოგონების მკვლელობის შესახებ მათი ინტიმური პარტნიორის ან ოჯახის სხვა წევრების მიერ, რომელშიც ახსნილია სტატისტიკური ჩარჩო, რომელიც გამოიყენება ქალებისა და გოგონების გენდერული მკვლელობების გასაზომად (UNODC, 2021).

მეთოდოლოგია

კვლევისათვის შეირჩა მედიის კონტენტანალიზის მეთოდი, რომელიც მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კომპონენტებს.

რაოდენობრივი კვლევის ჩატარებისთვის მონაცემების შეგროვების წყაროდ მედიასაშუალებების ანგარიშები იქცა, რომლებიც შემოწმდა პოლიციისა და მართლმსაჯულების სისტემის სხვა ხელმისაწვდომ წყაროებზე დაყრდნობით. ინფორმაციის შედგენისთვის გამოიყენებოდა Excel მონაცემთა ბაზა. 2021-2022 წლების ონლაინ მონაცემთა ბაზაში mediamonitoring.ge ძიების შედეგად მოძიებული იქნა 1027 მასალა 40 მედიასაშუალებაში, რომლებიც შეიცავდა საკვანძო სიტყვას "ფემიციდი". მედიაკონტენტი გაანალიზდა EOF-ის ინსტრუმენტზე დაყრდნობით.

EOF-ის რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები მონაცემების შეგროვებას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით ითვალისწინებს:

1. **ძირითადი მონაცემები**
   მკვლელობის თარიღი და დრო, მკვლელობის ქალაქი ან რეგიონი.
2. **დაზარალებულ(ებ)ის მახასიათებლები**
   ასაკობრივი ჯგუფი, ოჯახური მდგომარეობა, პროფესია, დასაქმება, ეთნიკური წარმომავლობა, წარმოშობის ქვეყანა და ინვალიდობა.
3. **დამატებითი მსხვერპლი**
   ფემიციდის დროს მოკლული დამატებით მსხვერპლთა რაოდენობა და ურთიერთობა.
4. **დამნაშავე(ებ)ის მახასიათებლები**
   დამნაშავეთა რაოდენობა, ასაკობრივი ჯგუფი, სქესი, ოჯახური მდგომარეობა, პროფესია, ეთნიკური წარმომავლობა, წარმოშობის ქვეყანა, ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და ძალადობრივი დანაშაულის წინასწარი ჩანაწერი.

5. **მსხვერპლი-მოძალადის ურთიერთობა**
   ურთიერთობის ბუნება, მაგალითად, ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორი, მეუღლე, ოჯახის სხვა წევრი ან სხვა ურთიერთობა.
6. **სიტუაციური ფაქტორები**
   სფერო, სადაც მოხდა ფემიციდი, დანაშაულის ადგილი, მკვლელობის მეთოდი, მოწმეები, იყო თუ არა მსხვერპლი ორსულად, სექსუალური ძალადობის/გაუპატიურების კონტექსტი, ჩაიდინა თუ არა მოძალადემ თვითმკვლელობა მკვლელობის შემდეგ, ადრე ოჯახში ძალადობა ან შეურაცხყოფა იმავე მოძალადის მიერ, ფორმების აღწერა/წინა ძალადობის მასშტაბი, მსხვერპლთან დაკავშირებული ფაქტორები (მოხუცი/ავადმყოფი/თვითმკვლელი), წინასწარი თვალთვალი, სხვა სიტუაციური ფაქტორები (მაგ., ალკოჰოლი, შურისძიება, ეჭვიანობა) ან სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები.
7. **ფონური ინფორმაცია**
   მოხდა თუ არა ინციდენტი განშორების შემდეგ/დაშორების დროს, რამდენ ხანში მოხდა განშორება; დაემუქრა თუ არა მოძალადე მსხვერპლს ფემიციდამდე მოკვლით (დაზუსტებული მუქარით); ადრე იყო ცნობილი პოლიციისთვის ძალადობა ან მუქარა; არსებობდა თუ არა დაცვის ორდერი; იყო თუ არა მოძალადის წინასწარ ნასამართლობა თავდასხმისთვის/დანაშაულისთვის; იყო თუ არა საქმე მხარდაჭერის სისტემისთვის ან სხვებისთვის ცნობილი და თუ ასეა, როგორი იყო სასამართლო პროცესის შედეგი; ფემიციდის სახე და შემდგომი კომენტარები.

კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში მკვლევრებმა წაიკითხეს ყველა მასალა, სადაც ნახსენები იყო ფემიციდი და დაყვეს ისინი რამდენიმე თემატურ კატეგორიად: გააშუქა თუ არა მედიამ ფემიციდი, როგორც ინდივიდუალური შემთხვევა, თუ როგორც სოციალური ფენომენი და რომელ წყაროებს ეყრდნობოდა მედია, როდესაც ის აშუქებდა ფემიციდს. შედგა კრიტერიუმების ნუსხა, რომელიც განსაზღვრავდა ინდივიდუალურ შემთხვევასა და სოციალური ფენომენისათვის მახასიათებლებს და ჩამოიწერა ყველა შესაძლო წყარო, რომელსაც შესაძლოა დაყრდნობოდა მედია ინფორმაციის გავრცელებისას. მკვლევართა გუნდი იკრიბებოდა, რათა ერთობლივად განეხილათ და შეეთანხმებინათ კატეგორიები და ფორმულირებები. ამ განმეორებითი პროცესის განმავლობაში თემები და კატეგორიები მუდმივად კორექტირდებოდა და იცვლებოდა. ბოლო ეტაპზე მოხდა მიღებული შედეგების დათვლა, შეჯამება და ანალიზი.

კვლევის შედეგები

სულ 2021-2022 წლების მედიამონიტორინგის ფარგლებში დაფიქსირდა ინფორმაცია 23 ქალის მკვლელობის შესახებ. შემთხვევათა უმეტესობა დაფიქსირდა 2022 წელს (17/6). მკვლელობები განფენილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ერთი შემთხვევა დაფიქსირდა პოლონეთში. ყველაზე მეტი მკვლელობის შემთხვევა მოხდა თბილისში (11), შემდეგ კახეთში (4) და აჭარაში, კერძოდ ხელვაჩაურში. მკვლელობები ხდებოდა დღე-ღამის ყველა მონაკვეთში.

ფემიციდის შემთხვევებში მსხვერპლთა ყველაზე გავრცელებულ ასაკობრივ ჯგუფს 26-დან 35 წლამდე ასაკის ქალები შეადგენდნენ (იხ. დიაგრამა#1).



დიაგრამა #1

უფრო ხშირად დასაქმებული იყვნენ ქალები. ძირითადად წარმოდგენილი იყო ეთნიკურად ქართველი როგორც მსხვერპლი, ისე მოძალადე. მხოლოდ ორ შემთხვევაში იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მსხვერპლი, ხოლო ერთ შემთხვევაში, მოძალადე.

წარმოშობის ქვეყანა მოძალადის შემთხვევაში იყო საქართველო, ხოლო მსხვერპლის წარმოშობის ქვეყანა საქართველოს გარდა, იყო ავსტრალია, ტაილანდი და რუსეთი. რაც შეეხება შეზღუდულ შესაძლებლობას, მსხვერპლის შემთხვევაში, უფრო ხშირად უცნობი იყო, ხოლო მოძალადის შემთხვევაში, სამჯერ დაფიქსირდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა.

მკვლელობათა ყველაზე მკაფიო ფაქტორი იყო სქესი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მსხვერპლი იყო ქალი, ხოლო მოძალადე კაცი. საკვლევ ნიმუშში ყველაზე მეტი შემთხვევა ჩადენილი იყო მოქმედი ან ყოფილი მამაკაცი პარტნიორების მიერ (იხ. დიაგრამა #2). საინტერესოა, რომ იყო საქმეები, სადაც ფიგურირებდა შვილის მიერ დედის მკვლელობა, რაშიც მას მეგობარი ეხმარებოდა. ასევე, მკვლელობები, სადაც ქალი ერთ შემთხვევაში მოკლა სიმამრმა, ხოლო მეორე შემთხვევაში ძმებმა.



დიაგრამა #2

ფემიციდის მსხვერპლებსა და მოძალადეებს არ ჰქონდათ სპეციფიკური სოციალურ-ეკონომიკური პროფილი; ისინი მიეკუთვნებოდნენ ყველა საგანმანათლებლო, პროფესიულ და სოციალურ დონეს; საკვლევი მონაცემების მიგრანტის მაჩვენებლის მიხედვით, იყვნენ როგორც ემიგრანტები, ასევე იმიგრანტები.

მკვლელობები უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა შენობის შიგნით, სხვებისგან ფარულ ადგილას. აღსანიშნავია, რომ საჯარო სივრცეში მკვლელობის შემთხვევაში, მკვლელობა საზოგადოებას უფრო მეტად იპყრობდა და იწვევდა საზოგადოების აღშფოთებასა და რეაქციას. მაგალითად, საკვლევი ნიმუშის ორი შემთხვევიდან ერთი ავტობუსში, დღისით მოხდა, ხოლო მეორე, სასურსათო მაღაზიაში. ორივე შემთხვევის დროს, დანაშაული მრავალი მოწმის თვალწინ განვითარდა, რომლებმაც ვერ შეძლეს მსხვერპლის დახმარება. სამ შემთხვევაში ქალები დაშორებულები იყვნენ ან აპირებდნენ პარტნიორისგან დაშორებას.

საკვლევ ნიმუშში წარმოდგენილ ერთ შემთხვევაში, განმეორებითი ძალადობის შესახებ ინფორმაცია ცნობილი იყო პოლონეთის ძალოვანი ორგანოებისათვის, მათ შორის პოლიციისთვის, მაგრამ დანაშაულის აღკვეთა ვერ მოხდა. ამასთანავე, დაფიქსირდა ორი შემთხვევა, როდესაც მოძალადე გირაოთი იყო გათავისუფლებული, რაც დამატებით პასუხისმგებლობას აკისრებდა ძალოვან სტრუქტურებს. აღსანიშავია, რომ განმეორებითი ძალადობის, მუქარისა და თვალთვალის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყო ოჯახის წევრებისთვის და მეზობლებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში მუქარის ან ძალადობის განმეორებითი ხასიათის შესახებ ცნობილი იყო პოლიციისთვისაც. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაში მსხვერპლი იყო ორსულად.

მკვლელობის მეთოდებს შორის, ყველაზე გავრცელებული მეთოდი იყო ცივი იარაღით თავდასხმა, როგორიცაა დანა ან ნაჯახი (11 შემთხვევა), შემდეგ კი - ცეცხლსასროლი იარაღი (იხ. დიაგრამა #3).



დიაგრამა #3

დაფიქსირდა ფემიციდის შემთხვევები სექსუალური ძალადობის, პროსტიტუციისა და ტრანსფობიის კონტექსტში. დაფიქსირდა ფემიციდის ერთი შემთხვევა, რომელსაც თან ახლდა სხვა ადამიანის, მაგალითად, შვილის მკვლელობა. დანაშაულის მოწმეები ძირითადად ოჯახის წევრები, ბავშვები, თანამშრომლები და ფართო საზოგადოება იყო. გამოვლინდა ორი შემთხვევა, როდესაც მოძალადემ თავი მოიკლა.

მედიაკონტენტანალიზის კვლევამ აჩვენა, რომ 1027 მასალისგან 150 ეხებოდა კონკრეტულად მკვლელობას. ამ შემთხვევებში მედია აწვდიდა დეტალებს მკვლელობის შესახებ, მათ შორის, სად მოხდა, ვინ ჩაიდინა, როდის მოხდა და ძირითად ინფორმაციას მსხვერპლის, დამნაშავისა და დანაშაულის შესახებ. დანარჩენ შემთხვევებში მედია ფემიციდს სოციალურ მოვლენად წარმოაჩენდა.

მედიაში ფემიციდის შესახებ ყველაზე მეტი ინფორმაცია ვრცელდებოდა პროკურატურის, ამერიკის საელჩოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პარლამენტის, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, სასამართლოს, სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ევროკავშირის მიერ (იხ.დიაგრამა #4). მედიაში გაფართოვდა ფემიციდის კონცეფცია: გაშუქება ხშირად მოიცავდა მკვლელობის მცდელობას, ჯანმრთელობის დაზიანებას და თვითმკვლელობას ფემიციდის კონტექსტში.



დიაგრამა #4

მედია კრიტიკულად აანალიზებდა სოციალურ სტრუქტურებს, კანონმდებლობას და ამ დანაშაულების ხელშემწყობ სხვა ფაქტორებს, მზარდი აქცენტით პრევენციაზე. ჟურნალისტები სულ უფრო მეტად თავს არიდებდნენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „ოჯახური დრამა“ ან „ტრაგედია“ და ამის ნაცვლად, შეგნებულად იყენებდნენ ტერმინს “ფემიციდი”, რაც ხაზს უსვამდა ამ დანაშაულებში გენდერული ძალადობის ფაქტორს.

დასკვნა და რეკომენდაციები:

კვლევამ აჩვენა, რომ ქალთა მკვლელობები საქართველოში ქართულენოვან მედიაში რეგულარულად შუქდებოდა. 2021-2022 წლების შემთხვევების ანალიზი ცხადყოფს, რომ ჟურნალისტები პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ფემიციდის გაშუქებას. ფემიციდი უფრო ფართო სოციალური და გენდერული საკითხის ნაწილად მიიჩნეოდა, ვიდრე კერძო ან იზოლირებული ინციდენტი.

მედიის მზარდი ყურადღება ფემიციდზე ნაწილობრივ განპირობებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მიერ მხარდაჭერილი ცნობიერების ამაღლების პროექტებით, რომლებიც მიმართული იყო ფემიციდის პრევენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ მედიის ანგარიშებში ყველაზე დომინანტურ წყაროს სამთავრობო უწყებები წარმოადგენდა, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და უფლებადამცველები ასევე ხვდებოდნენ მედიის ყურადღების თვალსაწიერში.

ევროპული ფემიციდის მონიტორინგის (EOF) მეთოდოლოგიის რაოდენობრივი ინსტრუმენტის გამოყენების შედეგად დადგინდა, რომ ფემიციდის შემთხვევების მახასიათებლები ძირითადად ემთხვეოდა ოჯახური ძალადობის გლობალურ კონტექსტს განსაკუთრებით ინტიმური პარტნიორების მიერ მოკლული ქალების პროპორციულ მონაცემებს, რაც მითითებდა დანაშაულის აშკარად გენდერულ ხასიათზე.

ამასთან, დამატებით გამოვლინდა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რაც აქამდე არსებული ეროვნული მონაცემთა სისტემებით დაფიქსირებული არ ყოფილა (დანაშაულამდე ინსტიტუციური ჩართულობა, მკვლელობა საჯარო სივრცეში, მიგრანტი ქალების მკვლელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ადიქტური ქცევის პრობლემები მოძალადეებში, ორსულობა და დაშორება, როგორც რისკ ფაქტორები და სხვა). ეს ცოდნა ამდიდრებს ჩვენს გაგებას ფემიციდის მიზეზებზე.

კვლევის შედეგები თანხვედრაშია გრეუელის კვლევის, მიგნებებთან, რომლებიც მიუთითებს, რომ შემთხვევების უმრავლესობაში პოლიციას მართლმსაჯულებას არ შეეძლო დანაშაულის აღკვეთა (Greuel, 2009). შესაბამისად, დამხმარე სისტემები და ოჯახში ძალადობის განმეორებითი ისტორია შეიძლება არ ყოფილიყო მთავარი რისკ-ფაქტორი.

რეკომენდებულია, რომ მედიამ გააშუქოს ფემიციდი უფრო მიმზიდველად, ეყრდნობოდეს სხვადასხვა წყაროებს, მათ შორის აკადემიურ წრეებს და დააბალანსოს სახელმწიფო სტრუქტურების პერსპექტივები. ჟურნალისტები უნდა გახდნენ უფრო დამოუკიდებელი, გაბედული და პროაქტიული, გამოიყენონ გაშუქების ინოვაციური მეთოდები.

დანაშაულებამდე ინსტიტუციური ჩართულობის დაბალი დონე ართულებს პოლიციისა და დამხმარე სისტემის ჩარევას და დანაშაულის პრევენციას. აქ

გასათვალისწინებელია, რომ საჭიროა მეტი კვლევა, რათა გაირკვეს, შეიძლებოდა თუ არა წინასწარი ჩარევა სხვა ინსტიტუტების (მაგ., ექიმებისა და სამედიცინო დახმარების) ან მეგობრების, მეზობლების და ოჯახის სხვა წევრების მხრიდან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

EOF-ის მონაცემთა ბაზაში არსებული შემთხვევების ანალიზი აჩვენებს, რომ შემდგომი ინფორმაცია სისტემატურად უნდა შეგროვდეს მოცემული მეთოდით შემთხვევებზე ცოდნის გაფართოებისა და პრევენციის გაუმჯობესებული სტრატეგიების შემუშავების მიზნით.

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტის ნომერი:NFR-22-56-16; სახელწოდება: ფემიციდი, გენდერი და ძალადობა: სისტემატური მიდგომა)“

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Academic Council on the United Nations System. (2013). *Femicide: A global issue that demands action*. https://acuns.org/publications/femicide/

2. Bandelli, D., & Corradi, C. (2021). *Femicide across Europe: Theory, research and prevention*. Policy Press.

3. Branković, J. (2019). A multilevel approach to femicide: Ecological perspectives and prevention strategies. In S. Weil, C. Corradi, & M. Naudi (Eds.), *Femicide across Europe* (pp. 45–58). Policy Press.

4. Branković, J. (2019). What drives violence in South Africa. *CSVR Research Brief*.

5. Corradi, C. (2021). Measuring femicide in Europe: Data and challenges. In S. Weil, C. Corradi, & M. Naudi (Eds.), *Femicide across Europe: Theory, research and prevention* (pp. 87–102). Policy Press.

6. Corradi, C. (2021). European Parliament coordinator: Policy Department for External Relations (PE 653.655). *European Parliament*. https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document/PE653655

7. CEDAW. (2017). *General recommendation No. 35 on gender-based violence against women*. UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW/C/GC/35).

8. Diana E. H. Russell. (n.d.). *Defining femicide*. https://www.dianarussell.com/defining-femicide-.html

9. Dobash, R. P., Dobash, R. E., Cavanagh, K., & Medina-Ariza, J. (2004). Not an ordinary killer – Just an ordinary guy: When men murder an intimate woman partner. *Violence Against Women, 10*(6), 577–605. https://doi.org/10.1177/1077801204265015

10. European Institute for Gender Equality. (2017). *Glossary and thesaurus*. https://eige.europa.eu/thesaurus

11. European Institute for Gender Equality. (2021a). *Measuring femicide in the EU and internationally: An assessment*. Publications Office of the European Union.

12. European Institute for Gender Equality. (2021b). *Defining and identifying femicide: A literature review*. Publications Office of the European Union.

13. European Observatory on Femicide (EOF). (2021). *European monitoring on femicide*. http://eof.cut.ac.cy/

14. Greuel, L. (2009). Forschungsprojekt "Gewalteskalation in Paarbeziehungen." *Institut für Polizei und Sicherheitsforschung (IpoS)*.

15. Lagarde, M. (2014, May 5). The Mexican anthropologist and feminist Marcela Lagarde visits the UV. *Universitat de València*. Retrieved March 4, 2015, from https://www.uv.es/

16. Ministry of Internal Affairs of Georgia. (2022). *Crime statistics of Georgia 2021, 2022*. https://info.police.ge/uploads/6245a7a41f3af.pdf

17. Muftić, L. R., & Baumann, M. L. (2012). Female perpetrators of intimate partner violence: Exploring conflict, power, and motivation. *Journal of Interpersonal Violence, 27*(17), 3215–3239. https://doi.org/10.1177/0886260512441260

18. Neuendorf, K. A. (2002). *The content analysis guidebook*. Sage Publications.

19. Prosecutor's Office of Georgia. (2022). *Femicide monitoring report 2022*. https://pog.gov.ge/uploads/df898345-femicidi-2022-The-POG-09-12-2022-PDF.pdf

20. Schröttle, M., & Meshkova, K. (2018). Data collection: Challenges and opportunities. In S. Weil, C. Corradi, & M. Naudi (Eds.), *Femicide across Europe* (pp. 33–52). Policy Press.

21. Stamatel, J. P. (2014). Gender and homicide. In M. Killias & S. Harrendorf (Eds.), *International handbook of homicide* (pp. 171–192). Springer. https://doi.org/10.1007/978-1-4614-0466-8_9

22. Stamatel, J. P. (2014). Explaining variations in female homicide victimization rates across Europe. *European Journal of Criminology, 11*(5), 578–600.

23. UN Women. (2015). *Special Rapporteur on Violence against Women*. United Nations.

24. UN Women. (2021). *Violence against women prevalence data*. https://www.unwomen.org
UNODC (2021). *Data Matters 3: Killings of women and girls by their intimate partner or other family members.* UNODC Research

25. UN Women. (2023, November 22). *More women and girls killed in 2022 even as overall homicide numbers fall*. https://www.unwomen.org/en/news-stories/press-release/2023/11/press-release-more-women-and-girls-killed-in-2022

26. United Nations Office on Drugs and Crime. (2014). *Global study on homicide 2014*. https://www.unodc.org/documents/gsh/pdfs/2014_GLOBAL_HOMICIDE_BOOK_web.pdf

27. United Nations Office on Drugs and Crime. (2018). *Global study on homicide: Gender-related killing of women and girls*. https://www.unodc.org/unodc/en/data-and-analysis/global-study-on-homicide.html

28. United Nations Office on Drugs and Crime. (2021). *Global study on homicide: Gender-related killing of women and girls*. https://www.unodc.org

29. United Nations Office on Drugs and Crime. (2023). *Global study on homicide 2023*. https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/gsh/2023/Global_study_on_homicide_2023_web.pdf

30. United Nations Office on Drugs and Crime & UN Women. (2022). *Gender-related killings of women and girls (Femicide/Feminicide): Global estimates 2022*. https://www.unodc.org/unodc/en/data-and-analysis/global-homicide.html
31. Weil, S. and Naudi, M. (2018) 'Towards a European observatory on Femicide', *Femicide across Europe*, pp. 167–174. doi:10.56687/9781447347163-010.
32. World Economic Forum. (2024). *Global gender gap report 2024*. https://www.weforum.org/reports/global-gender-gap-report-2024

33. Yell, D., & Gill, M. (1988). Qualitative and quantitative approaches to content analysis.
34. Riffe, D., & Freitag, A. (1997). *Content analysis: A methodology for media content analysis*.
35. სახალხო დამცველი. (2014). *Report on the Violence Against Women in Georgia*.
36. ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში (2020) *ombudsman.ge*. Available at: https://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi (Accessed: 14 May 2025).
37. Prosecutor's Office of Georgia. (2022). Femicide monitoring report 2022. https://pog.gov.ge/uploads/df898345-femicidi-2022-The-POG-09-12-2022-PDF.pdf
38. ფემიციდის შედეგად დაობლებული ბავშვების მონაცემები (2017) *femicide.ge*. Available at: http://femicide.ge/geo/list/show/231-GIPA-s-studentebma-femitsidis-shedegad-daoblebuli-bavshvebis-temaze-imushaves (Accessed: 14 May 2025).
39. თარხნიშვილინინო (2022) *ფემიციდი 2022*, რადიო თავისუფლება. Available at: https://www.radiotavisupleba.ge

40. საჯარო ინფორმაცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (2023) საჯარო ინფორმაცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. Available at: https://info.police.ge/ (Accessed: 14 May 2025).
41. სახალხო დამცველის ანგარიშები (2022) *ombudsman.ge*. Available at: https://ombudsman.ge/geo/201117012751angarishebi (Accessed: 14 May 2025).
42. ინფორმაციის გამოთხოვა (2024) '№13/57362'. Tbilisi: საქართველოს პროკურატურა.
43. ინფორმაციის გამოთხოვა (2024) *.MIA 2 24 02552782, შინაგან საქმეთა სამინისტრო*
44. *მედიამონიტორინგის ვებ-პორტალი. Available at: https://mediamonitoring.ge/#/products (Accessed: 14 May 2025).*